

**“Sharpen Your Swords, Georgians!”  
Georgian Theater in Exile - History and Present**

**„ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“  
ქართული თეატრი ემიგრაციაში - ისტორია და დღევანდელი**

**Lasha Chkhartishvili**

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Associate Professor

+995 577 904041, [lchkhartishvili@tafu.edu.ge](mailto:lchkhartishvili@tafu.edu.ge)

**Abstract.** Georgian people had to participate in wars for centuries and the Georgian theater played an important role in protecting the country. Like patriotic songs, Georgian actors in wars not only morally encouraged the army, but also fought to protect freedom. It is true that war is not the only factor that causes intensive emigration, but in the case of Georgia, war as an event is the main provocateur that forces a person to seek refuge in a safe country, in order to save himself. After the Battle of Krtsanisi (1795), Georgian dramatist, public figure and founder of classical theater in Georgia Giorgi Avalishvili (1769-1850) emigrated to Russia and continued his work there.

The figures of the Georgian theater did not immigrate only to Russia. In 1920, Georgian theater actor Giorgi Jabadari (1888-1938) went to Europe, to Germany. After the occupation of Georgia by Russia in 1921, he remained in exile. He worked successfully in Brussels and Berlin as a director. He was a member of the board of directors of the Odeon-Theater of Europe in Paris.

In the Georgian theater, the next wave of emigration came in the 1990s. On the one hand, Georgia gained independence, on the other hand, the collapse of the Soviet Union caused complete chaos. In 1990, at the instigation of Moscow, the Osama separatists declared the Samachablo region (the same autonomous region of South Ossetia that was part of Georgia) as an independent democratic republic.

The conflict between the central government of Georgia and the government of the Autonomous Republic of Abkhazia escalated in approximately the same scenario. On September 27, 1993, Sukhumi fell as a result of a clash between the Abkhaz separatists and the Georgian army. The Autonomous Republic of Abkhazia, like South Ossetia, declared independence. The international community has not recognized the independence of the autonomous republics, except for Russia.

Georgian theaters in exile continue to operate successfully, but they never lose hope to return to their hometowns and their audience.

**Keywords:** Georgian Theatre in exile; Sokhumi theatre; Tskhinvali theatre; Baku Georgian theatre; Georgian actors in exile; Giorgi Jabadari; Vasil Kushitashvili; Dimitri Jaiani; Gocha Kapanadze; David Sakvarelidze.

**ლაშა ჩხარტიშვილი**  
საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი  
+995 577 904041, [lchkhartishvili@tafu.edu.ge](mailto:lchkhartishvili@tafu.edu.ge)

**აბსტრაქტი.** ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში უწევდა ომებში მონაწილეობა და ქვეყნის დასაცავად ქართული თეატრი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. პატრიოტული სიმღერების მსგავსად, ქართველი მსახიობები ომებში არა მხოლოდ მორალურად ამხნევებდა ჯარს, არამედ თავადაც იბრძოდა თავისუფლების დასაცავად. მართალია, ომი არ არის ერთადერთი ფაქტორი, რაც იწვევს ინტენსიურ ემიგრაციას, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, ომი, როგორც მოვლენა, ის მთავარი მაპროვოცირებელია, რომელიც აიძულებს ადამიანს თავის გადარჩენის მიზნით, თავი უსაფრთხო მხარეს, სხვა ქვეყანას შეაფაროს. კრწანისის ომის შემდეგ (1795) ქართველი დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე და კლასიციტური თეატრის ფუძემდებელი საქართველოში გიორგი ავალიშვილი (1769-1850) ემიგრაციაში რუსეთში მიემგზავრება და იქ აგრძელებს მოღვაწეობას.

ქართული თეატრის მოღვაწეები მხოლოდ რუსეთში არ მიემგზავრებოდნენ ემიგრაციაში. 1920 წელს, ქართველი თეატრის მოღვაწე გიორგი ჯაბადარი (Giorgi Jabadari, 1888-1938) ევროპაში, გერმანიაში გაემგზავრა. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში დარჩა. ის წარმატებით მოღვაწეობდა ბრიუსელსა და ბერლინში, როგორც რეჟისორი. ის იყო პარიზის თეატრის „ოდეონი-ევროპის თეატრი“ რეჟისორთა კოლეგიის წევრი.

ქართულ თეატრში ემიგრაციის მომდევნო ტალღა XX საუკუნის 90-იან წლებში წამოვიდა. ერთი მხრივ, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია სრული ქაოსი. 1990 წელს, მოსკოვის წაქეზებით, ოსმა სეპარატისტებმა სამაჩაბლოს რეგიონი (იგივე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა) დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

დაახლოებით იგივე სცენარით გამწვავდა კონფლიქტი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის. აფხაზ სეპარატისტებსა და ქართულ ჯარს შორის შეტაკების შედეგად, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის მსგავსად დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საერთაშორისო თანამეგობრობას ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობა არ უღიარებია, გარდა რუსეთისა.

ემიგრაციაში მყოფი ქართული თეატრები წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას, მაგრამ ისინი არასდროს კარგავენ იმედს, რომ დაუბრუნდებიან მშობლიურ ქალაქებს და თავის მაცურებელს.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული თეატრი ემიგრაციაში; სოხუმის თეატრი; ცხინვალის თეატრი; ბაქოს ქართული თეატრი; ქართველი მსახიობები ემიგრაციაში; გიორგი ჯაბადარი; ვასილ ყუშიტაშვილი; დიმიტრი ჯაიანი; გოჩა კაპანაძე; დავით საყვარელიძე.

**შესავალი.** ქართული თეატრის ემიგრაციის ისტორია, სამწუხაროდ, შესწავლილი არ არის. ინფორმაცია ქართული თეატრის მოღვაწეების, კონკრეტული თეატრების, რეჟისორების ან მსახიობების უცხოეთში მოღვაწეობის შესახებ გაზიარებულია სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ არ არის მეცნიერულად შესწავლილი, თუ რა როლს ასრულებენ ისინი

მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში, ან მათ მოღვაწეობას აქვს თუ არა გავლენა სათეატრო პროცესზე. ნაშრომში ვიკვლევ არა საქართველოდან გახიზნულ (სხვადასხვა მიზეზით) ან ქართველ თეატრის მოღვაწეთა ემიგრაციაში შექმნილ თეატრებს ან სათეატრო კომპანიებს და მათ მუშაობას, არამედ საკუთარ ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ თეატრებს და მის გამომწვევ მიზეზებს.

**მეთოდები და წყაროები.** კვლევისას ვიყენებ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: მონაცემთა შეგროვებას, მათ გაანალიზებას და დაკვირვებას. ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდს. მონაცემთა მომზადებისა და მისი ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანის ხერხს. წყაროებად გამოყენებულია როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ისე საინფორმაციო წყაროები, როგორც ბეჭდური მედიიდან, ისე ინტერნეტგამოცემებიდან. ასევე ვიყენებ მხატვრული ნაწარმოების შეფასებისთვის პროფესიულ ლიტერატურას და თეატრის მკვლევართა მოსაზრებებს, რათა განვსაზღვრო თეატრების მუშაობის გავლენის დონე სათეატრო პროცესზე.

**შედეგები.** კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინააღმდეგობების და ბარიერების მიუხედავად, ემიგრაციაში მყოფი თეატრები მარტივად ახერხებენ ადაპტაციას უცხო გარემოში. ისინი სტუმრად არ გრძნობენ თავს და ებმებიან საერთო შემოქმედებით ფერხულში.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ემიგრირებულ თეატრებს შესწევთ ძალა და უნარი, კონკურენცია გაუწიონ დედაქალაქის თეატრებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ემიგრაციაში მყოფი თეატრები ქმნიან საინტერესო, მნიშვნელოვან, მხატვრული ღირებულების მქონე მხატვრულ პროდუქტს.

**ძირითადი ტექსტი/მსჯელობა.** სათაურში გამოტანილი ეს ფრაზა - „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“ პოპულარული ქართული სიმღერიდანაა (ტექსტის ავტორი - თინათინ მღვდლიაშვილი (Tinatin Mghvdliashvili, 1955); კომპოზიტორი - ზურაბ მჟავია (Zurab Mzhavia, 1950; შემსრულებელი - გოგი დოლიძე (Gogi Dolidze, 1954-1996), რომელიც აქტუალურობას არ კარგავს. განსაკუთრებით, ხშირად მაშინ ჟღერს საქართველოს ქალაქებში, როცა ქვეყანა განსაცდელის წინაშე დგას. ეს სიმღერა მომღერალ გოგი დოლიძის შესრულებით (დაიწერა 1991-ში) დამოუკიდებელ საქართველოს (1991) მეორე ჰიმნად იქცა, რომელიც ზუსტად გამოხატავს ქართველი ხალხის ემოციას დამოუკიდებლობიდან დღემდე. ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში უწევდა ომებში მონაწილეობა და ქვეყნის დასაცავად ქართული თეატრი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. პატრიოტული სიმღერების მსგავსად, ქართველი მსახიობები ომებში არა მხოლოდ მორალურად ამხნევებდა ჯარს, არამედ თავადაც იბრძოდა თავისუფლების დასაცავად.

ქართველი ერის ისტორიას ფონად გასდევს ომების ისტორიაც. „1795 წელს, კრწანისის ბრძოლაში ომის წინა ფრონტზე ქართული თეატრის მოღვაწეები იდგნენ, რომლებიც ამხნევებდნენ მეომრებს, თავადაც იბრძოდნენ. უკლებლივ ყველა მსახიობი ამ ომში დაიღუპა“ (Chkhartishvili, 2023: 2). მართალია, ომი არ არის ერთადერთი ფაქტორი, რაც იწვევს ინტენსიურ ემიგრაციას, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, ომი, როგორც მოვლენა, ის მთავარი მაპროვოცირებელია, რომელიც აიძულებს ადამიანს თავის გადარჩენის მიზნით, თავი უსაფრთხო მხარეს, სხვა ქვეყანას შეაფაროს. კრწანისის ომის შემდეგ (1795) ქართველი დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე და კლასიციკისტური თეატრის ფუძემდებელი საქართველოში გიორგი ავალიშვილი (Giorgi Avalishvili, 1769-1850) ემიგრაციაში რუსეთში მიემგზავრება და იქ აგრძელებს მოღვაწეობას. „რუსეთში XVIII საუკუნის ბევრი ქართველი დრამატურგი ეწეოდა სათეატრო საქმიანობას. ზოგი მათგანი ფართოდაა ცნობილი რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ესენი იყვნენ: სილოვან ზანდუკელი (Silovan Zandukeli, 1756-

1820), ალექსი ფანჩულიძე (Aleks Panchulidze, 1758-1834), ზაქარია ხერხეულიძე (Zakaria Kherkheulidze, 1797-1856)“ (რუხაძე, 2011: 87).

ცნობილმა სათეატრო მოღვაწე ანატოლი კონიმ სილა ზანდუკელს „რუსეთის ბომარშე“ უწოდა. იგი მოღვაწეობდა მოსკოვის და პეტერბურგის საიმპერატორო თეატრებში (1783-1794), 1800-იან წლებში - რეჟისორის თანამდებობაზე. ერთნაირი წარმატებით ასრულებდა როგორც კომიკურ, ისე დრამატულ როლებს. 1810 წელს სცენა საბოლოოდ მიატოვა. სილა ზანდუკელის ძმა ნიკოლოზი კი, მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა და პიესებსაც წერდა. სწორედ მან, პირველად, გერმანულიდან რუსულად თარგმნა: ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“.

ალექსანდრე ფანჩულიძე, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს სარატოვის ოლქის გუბერნატორი იყო, გუბერნატორობამდე, სარატოვში წარმოდგენებს მართავდა და მალევე მოიპოვა პოპულარობა. მას უკავშირდება სარატოვის ცენტრში ალექსანდრე ნეველის ტაძრის მშენებლობა, თეატრის დასის და სიმფონიური ორკესტრის ჩამოყალიბება, რომელიც 70-ამდე მუსიკოსს აერთიანებდა.

ზაქარია ხერხეულიძე, რომელსაც გენერალ-მაიორის ჩინი ჰქონდა, იმპრესარიოც იყო, რომელმაც თავად სერგეი პაფნუტისთან ერთად, ქალაქ კალუგაში თეატრი დააარსა. ქართველი მკვლევარი ტრიფონ რუხაძე ვარაუდობს, რომ გენერალ-მაიორი ხერხეულიძე სწორედ ის კალუგელი თეატრის მოღვაწეა, რომელიც რუსულ წყაროებში ზახარ ხერხეულიძითაა მოხსენიებული (ჩხარტიშვილი, 2019: 456). XVIII საუკუნის რუსეთში მოღვაწე ემიგრირებულ ქართველთაგან წყაროები პეტრე შალიკაშვილსაც (Peter Shalikov, 1767-1852) ასახელებს, რომელსაც საკუთარი ბეჭდური ორგანო „МОСКОВСКИЙ ЗРИТЕЛЬ“ დაუარსებია. ეს ჟურნალი 1806 წლამდე გამოდიოდა. მასვე დაუწერია პიესა „ჟან-დე-პა-რი“, ცხადია, რუსულად. მის შესახებ ცნობებს ვხვდებით „რუსულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში“ (მოსკ., 1908).

1894 წელს, ბაქოში დაარსდა „ბაქოს ქართული თეატრი“, რომელშიც მოღვაწეობდა იმ პერიოდის თითქმის ყველა გამორჩეული რეჟისორი და მსახიობი. 1933 წელს, ბაქოს ქართულ თეატრს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა. 1937 წელს თეატრმა არსებობა შეწყვიტა. „ბაქოს ქართული თეატრმა ხელი შეუწყო ბაქოს ქართველ მოსახლეობაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, <https://georgianencyclopedia.ge/en/pdf-export/23547>).

ქართული თეატრის მოღვაწეები მხოლოდ რუსეთში არ მიემგზავრებოდნენ ემიგრაციაში. 1920 წელს, ქართველი თეატრის მოღვაწე გიორგი ჯაბადარი (Giorgi Jabadari, 1888-1938) ევროპაში, გერმანიაში გაემგზავრა. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში დარჩა. ის წარმატებით მოღვაწეობდა ბრიუსელსა და ბერლინში, როგორც რეჟისორი. ის იყო პარიზის თეატრის „ოდეონი-ევროპის თეატრი“ რეჟისორთა კოლეგიის წევრი. 1935 წელს, ბერლინის სამხატვრო თეატრში, გერმანულ ენაზე (თარგმანი მისივე) დგამს ქართველი დრამატურგის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის პიესას „ღალატი“. „ეს ქართული პიესის ევროპაში დადგმის პირველი შემთხვევა იყო და ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა. მამის კვალს გაჰყვა გიორგის ვაჟი - ალექსანდრე, რომელიც რეინჰარდტის თეატრალური აკადემიის დამთავრების შემდეგ, კანადაში დასახლდა, დგამდა პიესებს გერმანულ ენაზე და თვითონაც თამაშობდა. შემდგომში ვაშინგტონში გადავიდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა“ (მოდეზაძე, 2021).

ემიგრაციაში დაჰყო გარკვეული პერიოდი ცნობილმა ქართველმა თეატრის რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა (Vasil Kushitashvili, 1894-1962). საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921) ის საქართველოში მოღვაწეობს, სამშობლოშივე შედგა მისი რეჟისორული დებიუტი, როცა სოფოკლეს „ანტიგონე“ დადგა (1919). რუსეთის ოკუპაციის შემდეგ (1921), ის ტოვებს სამშობლოს და მოღვაწეობას აგრძელებს ჯერ საფრანგეთში, შემდეგ აშშ-ში. 1919-1933 წლებში მოღვაწეობდა საფრანგეთისა და ამერიკის

შეერთებულ შტატებში. იყო ანტუნანის თეატრის რეჟისორი. 1921 წელს შარლ დიულენთან (Charles Dullin, 1885-1949) ერთად საფუძველი ჩაუყარა სახელგანთქმულ ფრანგულ თეატრს „ატელიეს“ (Théâtre de l'Atelier). მან დადგა გოლდონის „მარაო“, აშის „შურისძიების ღმერთი“, მოლიერის „ჟორჟ დანდენი“, არისტოფანეს „ფრინველები“ და სხვა.

„ატელიეში“ მოღვაწეობასთან ერთად, ვასო ყუმიტაშვილი სპექტაკლებს დგამს პარიზის ცნობილ თეატრებში: „ოდეონი“, „პორტ სენ მარტენი“, „ელისეს მინდვრების თეატრი“. ნიუ-იორკში განახორციელა ოფენბახის „დიდი ჰერცოგინია“, ჟან ლარიკის „ქალწული საფრანგეთიდან“, ნიუ-ორლეანში - ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“. სამშობლოში 1933 წელს დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისში, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც 25 წელი დაჰყო“ (კიკნაძე, 1970: 75).

ქართულ თეატრში ემიგრაციის მომდევნო ტალღა XX საუკუნის 90-იან წლებში წამოვიდა. ერთი მხრივ, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია სრული ქაოსი. 1990 წელს, მოსკოვის წაქეზებით, ოსმა სეპარატისტებმა სამაჩაბლოს რეგიონი (იგივე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა) დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

„1992 წლის ბოლოდან ცხინვალის რეგიონში მუშაობა დაიწყო ეუთო-ს მისიამ. კონფლიქტის შედეგად დაილუპა ათასამდე, ხოლო უზოუკვლოდ დაიკარგა ასამდე ადამიანი. დაახლოებით 70-80 ათასამდე ადამიანი გააძევეს საცხოვრებელი სახლებიდან. შექმნილ ვითარებაში რუსეთმა მოახერხა თავის მიერვე ინსპირირებულ კონფლიქტში „შუამავლისა“ და „მშვიდობისმყოფელის“ როლი ეკისრა. 1992 წლის 24 ივნისს რუსეთის შუამდგომლობით გაფორმებული (სოჭის) ხელშეკრულებით რეგიონში განლაგდა შერეული სამშვიდობო ძალები (რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით) და შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია“ (არველაძე, 2017). კონფლიქტი გაიყინა, თუმცა 2008 წელს კვლავ გამძაფრდა და რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა. ომის შედეგად, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მიმდებარე ტერიტორიებზე გადაიწვა და მთლიანად განადგურდა ორმოცდაათამდე ქართული სოფელი. ამ ტერიტორიებზე, მათ შორის, ახალგორის რაიონზე, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა. საკუთარი სახლებიდან გააძევეს და ეთნიკური წმენდა განახორციელეს 130 ათასამდე, ძირითადად ეთნიკური ქართველი მოსახლეობის მიმართ. მათგან 26 ათასი, ცხინვალის და მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები დღემდე დევნილობაში რჩებიან.

დაახლოებით იგივე სცენარით გამწვავდა კონფლიქტი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის. აფხაზ სეპარატისტებსა და ქართულ ჯარს შორის შეტაკების შედეგად, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის მსგავსად დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საერთაშორისო თანამეგობრობას ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობა არ უღიარებია, გარდა რუსეთისა.

ცხინვალში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფუნქციონირებდა ქართული დრამატული თეატრი (1875-დან), ხოლო სოხუმში 1919 წელს დიმიტრი გულიას ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ-ქართულ დრამატულ წრეს, 1928 წელს კი, დაფუძნდა აფხაზურ-ქართული დრამატული დასი სოხუმში.

1991 წლის კონფლიქტს ემოციურად იხსენებს ცხინვალის თეატრის მსახიობი მაკა გელაძე: „თეატრში ბოლოს „ბახტრიონი“ ვითამაშეთ. ვიღაცას გარეთ უთქვამს, იქ ქართულ ეროვნულ დროშას აფრიალებენო. სინამდვილეში, ეს ერეკლე მეფისდროინდელი დროშა იყო, სპექტაკლის რეკვიზიტი. როგორ შეეთანხმებინა მაყურებელთან რეჟისორს, რა დროშას გამოიყენებდა, როცა იმ ეპოქაზე დგამდა სპექტაკლს. დაიმაბა სიტუაცია. შუა სპექტაკლზე გვითხრეს, თეატრი შეიარაღებული ხალხითაა გარშემორტყმულიო. განწირულები ვიყავით. მერე ვიღაცამ დარბაზიდან „ჩემო კარგო ქვეყანას“ სიმღერა დაიწყო.

არ ვიცი, თითქოს ასე ჩვენს ღირსებას ვიცავდით, თუ ეს იყო სასოწარკვეთის მომენტი. ვიდექით სცენაზე, ვმღეროდით და ველოდებოდით, როდის შემოვარდებოდნენ ჩვენს დასახოცად“ (გელაძე, 2020).

პოლიტიკურმა კონფლიქტებმა იძულებული გახადა ცხინვალის დრამატული თეატრი, დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი და საკუთარ სამშობლოში, დედაქალაქში ჩასულიყო ხიზნად, ისე როგორც 1993 წელს სოხუმის დრამატული თეატრის დასმა დატოვა სოხუმი და დედაქალაქში ჩავიდა, როგორც დევნილი თეატრი. ცნობილი ქართველი თეატრის კრიტიკოსი ნათელა არველაძე წერდა: „ვგონებ, მსოფლიოში არ არსებობს თეატრი, რომელიც დევნილი იყოს თავისსავე მამულში და მაინც აგრძელებდეს სპექტაკლების თამაშს. მათი მისწრაფება თავგანწირვის ტოლფასია. ასეთია ჩვენი ორი - ცხინვალისა და სოხუმის თეატრები“ (მეგრელიძე, 2017). მარტივი არ იყო საკუთარ სამშობლოში დევნილობა თეატრისთვის. „ურთულესი იყო თეატრის შემოქმედებითი გზა დევნილობის პერიოდში. შენობიდან შენობაში მოხეტიალე ცხოვრების და უამრავი პრობლემის მიუხედავად, ცხინვალის თეატრმა ღირსეული რეპერტუარი შექმნა და თავისი მაყურებელი შეიძინა თბილისში“ (რეგიონული თეატრების გზამკვლევი, ქართული თეატრის ელექტრონული არქივი, <https://www.theatrelife.ge/tskhinvalitheatrehistory>). ყველაფერ ამას თეატრმა თავდადებით, ერთუზიაზმითა და პროფესიის უანგარო სიყვარულით მიაღწია.

თეატროლოგი გუბაზ მეგრელიძე წერილში „ცხინვალის თეატრის იუბილე“, აღნიშნავს ცხინვალის თეატრის ემიგრაციის წინა და დევნილობის პერიოდს: „ამ ხნის განმავლობაში თეატრმა საკმაოდ რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით დატვირთული და პატრიოტული მუხტით გაჯერებული გზა განვლო. ცხინვალის თეატრის დასმა საოცარი სიმტკიცე, თავდადება და შრომისუნარიანობა დაგვანახა. აუცილებლად გასახსენებელია ბოლო 1990 წელი, როდესაც მშობლიურ სცენაზე რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა (Leri Paksashvili, 1935-2002) ბოლო სპექტაკლი „ბახტრიონი“ დადგა. დამაბულ პერიოდში, როდესაც ქალაქში დენტის სუნი ტრიალებდა, სცენიდან პატრიოტული სულისკვეთება იღვრებოდა და მაყურებელს შინაგანად აძლიერებდა. არავინ იცოდა, რა ემოციებს გამოიწვევდა სეპარატისტებში და როგორ დამთავრდებოდა სპექტაკლი, მაგრამ მსახიობებმა საოცარი თავდადება გამოავლინეს“ (საქართველოს მთავრობა, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, <http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/47>).

ძნელი იყო უსახლკაროდ დარჩენილი ცხინვალის თეატრისთვის დედაქალაქში ადგილის დამკვიდრება და სტაბილური ფუნქციონირება. თეატრის ხელმძღვანელის ზაზა თედიაშვილის (Zaza Tediashvili, 1961-2021) დამსახურებითა და ძალისხმევით, მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა და სირთულეებისა, ცხინვალის თეატრს არ შეუწყვეტია მუშაობა. თეატრის დირექტორმა, რომელიც ცხინვალში იყო დაბადებული და გაზრდილი, მისი კარიერა მშობლიური კუთხის თეატრს დაუკავშირა. აქტიურად იყო ჩართული XX საუკუნის 80-90 წლების ეროვნულ მოძრაობაში. „ზაალ თედიაშვილი ცხინვალის ივანე მაჩაბლის დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობდა დევნილობის პერიოდში - 30 წლის განმავლობაში იყო ცხინვალის თეატრის დირექტორი. ამ ხნის მანძილზე, არაერთი სირთულის მიუხედავად, მან შეძლო თეატრის კოლექტივის ერთიანობის და უწყვეტი შემოქმედებითი ცხოვრების შენარჩუნება. ყოველდღიურად დაუღალავად იღვწოდა ცხინვალის თეატრის პრობლემების ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად გადაჭრისა და მოგვარებისათვის. წლების მანძილზე იგი თეატრის მრავალი შემოქმედებითი წარმატების ერთ-ერთი მოთავე და მონაწილე იყო. მას ცხინვალის თეატრის ერთ-ერთ მთავარ მისიად საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაცია მიაჩნდა და თეატრი პერმანენტულად მართავდა გასვლით წარმოდგენებს საოკუპაციო ხაზთან. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და პროფესიონალიზმით, ზაალ თედიაშვილი სიცოცხლის

ბოლო წუთამდე ერთგულად ემსახურებოდა თავის თეატრსა და ქვეყანას“ (საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური გვერდი; ზაზა თედიაშვილის ნეკროლოგი).

1991 წლიდან 2019 წლამდე ცხინვალის თეატრი თბილისში სხვადასხვა სივრცეებში, კულტურის სახლებსა და თეატრებში მართავდა წარმოდგენებს. 2019 წელს, ქალაქის ცენტრში, ისტორიულ უბანში (ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე) საქართველოს კულტურის სამინისტრომ თეატრს გამოუყო შენობა - ტანვარჯიშის ყოფილ სკოლაში, რომლის რეაბილიტაციის პროექტი უკვე დასრულებულია და მალე ცხინვალის თეატრს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და ევროპული სტანდარტების სათეატრო შენობა ექნება.

ცხინვალის თეატრი წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრებით აგრძელებს მოღვაწეობას (დიახ, მოღვაწეობას და არა მუშაობას), მას შემდეგ რაც სათავეში რეჟისორი გოჩა კაპანაძე ჩაუდგა (2014 წლიდან სამხატვრო ხელმძღვანელი). ის თეატრში სამუშაოდ დირექტორმა ზაზა თედიაშვილმა (რომელმაც ყველაფერი შეაღია იმას, რომ ცხინვალის თეატრი ქართული სათეატრო რუკიდან არ გამქრალიყო) 2011 წელს მიიწვია. ცხინვალის თეატრი ბოლო პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა ქართულ თეატრში, რომელიც თბილისში წარმოდგენებს ჯერ-ჯერობით კვლავ თბილისის სხვადასხვა თეატრების სცენაზე მართავს, მაგრამ ეს მოცემულობა არ აისახება სპექტაკლების მხატვრულ ხარისხზე.

ცხინვალის ივანე მაჩაბლის დრამატულ თეატრს მკვეთრად გამოკვეთილი სარეპერტუარო პოლიტიკა აქვს. თეატრის ხელმძღვანელობა იცნობს მის მაყურებელს. ამიტომაც, დადგმების უმრავლესობა ქართულ თანამედროვე და კლასიკურ დრამატურგიაზეა დაფუძნებული, რომელთა წამყვანი თემატიკა პატრიოტიზმია. რეჟისორი გოჩა კაპანაძე ისტორიული მოვლენებს დღევანდელობასთან კონტექსტში იაზრებს და მძაფრად სვამს აქტუალურ საკითხებს. ამ მხრივ, გამორჩეულია მისი დადგმები: დავით ტურაშვილის „მატარებელი“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყო“ და „კვაჭი“, „მარო მაცაშვილის დღიური“. ოთხივე დადგმის რეჟისორი გოჩა კაპანაძეა. თეატრის კრიტიკოსები სწორედ ამ დადგმებს მიიჩნევენ ცხინვალის თეატრის ბოლო წლების გამორჩეულ ნამუშევრებად, თუმცა მათ შორის გამორჩეული ადგილი სპექტაკლს „ჯაყო“ უჭირავს, რომელიც მაყურებელშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

რეჟისორმა ჩვეულ პრინციპს, რაც ლიტერატურული პირველწყაროსადმი განსხვავებულ ინტერპრეტაციაში ვლინდება, არ უღალატა და „ჯაყო“ ორიგინალური ვერსიით შემოგვთავაზა. სპექტაკლი, განსაკუთრებით კი ახალი ფინალი ბევრ პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილ მაყურებელს აღუძრავს გულის მოსაფხან ვნებებს. მიუხედავად ამისა, რეჟისორი არ გვაშორებს რეალობას და გლობალურ და მარადიულ პრობლემაზე მიუთითებს, რომ „ჯაყოში“, როგორც მოვლენა მარადიულია და დაუძლეველი. „სპექტაკლის ავტორების მოსაზრებით, ახლა აქტუალური ჯაყოს ხიზნობა კი არ არის, არამედ თავად ჯაყო, როგორც ნეგატიური ფენომენი, რომელიც ალეგორიებით იმ გარე და შინაურ მტერს ხატავს, რომელიც არღვევს წონასწორობას და ბალანსს სამყაროში. მოდერნიზებული გარემო და კოსტიუმები (სცენოგრაფი ლომგულ მურუსიძე, კოსტიუმების მხატვარი ქეთევან ციციშვილი), რომელიც ტრადიციულის განვითარებულ ვერსიას წარმოადგენს, არ კარგავს ძველ ხაზს და პრობლემის მარადიულობაზე მიუთითებს“ (ჩხარტიშვილი, 2014).

გოჩა კაპანაძის ამ სპექტაკლში გამოჩნდა ცხინვალის ქართული თეატრის ახალი თაობა, რომელიც პერსპექტივაში იმედის მომცემია. ახალგაზრდა მსახიობები სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ, რაც მათთვის რთული ამოცანა გახლავთ. მსახიობებს: რამაზ ხომასურიძეს, რეზი გიორგობიანს, თინათინ კობალაძეს არც სცენური მომხიბვლელობა აკლიათ და არც ნიჭიერება. ცხინვალელთა „ჯაყო“ საკამათო სპექტაკლია, რომელიც

ტრადიციულ ჩარჩოებს და სტერეოტიპებს არღვევს. გოჩა კაპანაძის „ჯაყო“ ის სპექტაკლია, რომელიც სწორედ ამ თეატრის რეპერტუარში უნდა ყოფილიყო.

კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლელა ოჩიაური ასე აფასებს ცხინვალის თეატრის ფენომენს, ადგილს და მნიშვნელობას ქართულ თეატრში: „ცხინვალის თეატრი ის თეატრია, სადაც უყვართ სამშობლო. თეატრი, რომელმაც საქართველოს უდიდესი ტკივილი პირადად გადაიტანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტრაგედიის ნაწილია. უშუალო მომსწრე და მონაწილე. დევნილი თეატრი, რომელიც მხოლოდ საკუთარმა სიძლიერემ და სიყვარულმა გადაარჩინა, რომელიც სამაჩაბლოდანაა და რომელიც ივანე მაჩაბლის სახელობისაა. ესაა თეატრი, რომელიც მოკრძალებულად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის, აჟიოტაჟისა და ყალბი ელვარების გარეშე მუშაობს და ცხოვრობს, მაგრამ რომლის ყველა სპექტაკლი, უკეთესიც და ნაკლებად საინტერესოც, ნახვის შემდეგ მაინც ყოველთვის იწვევს საზოგადოების ინტერესსა და ფიქრის, მსჯელობის სურვილს. რადგან აქ აქვთ სათქმელიც, პოზიციაც და იმ თემებზე დიალოგის მოთხოვნილება, რომლებიც თანამედროვე ადამიანს ალელვებს, აწუხებს და ეფიქრება“ (ოჩიაური, 2017).

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას ქართული დრამატული თეატრი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთ-ერთ მოწინავე ქართულ თეატრად ითვლებოდა მანამ, სანამ თეატრს საკუთარ სამშობლოში „იძულებით გადაადგილებულის“ სტატუსი მიენიჭებოდა. „აფხაზეთის ომის“ ქრონიკებიდან ლეგენდად დარჩა ერთი ისტორია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და მათ შორის იმათაც, ვინც არასდროს ყოფილა სოხუმში. სოხუმის თეატრის მსახიობი ნიკა წერედიანი იხსენებს: „ჩემი აზრით, თუ კი რამ წოდებას ანიჭებენ თეატრებს, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას თეატრს, ნამდვილად ეკუთვნის „ეროვნული თეატრი“-ს სტატუსი და თუ რატომ, ამასაც მოგიყვებით მოკლედ: იმ ავბედით დღეს, როდესაც სოხუმი დაეცა და ქართველებს ქუჩებში განურჩევლად ხვრეტდნენ და აწამებდნენ, თბილისის ერთ-ერთი თეატრიდან დარეკეს სოხუმში, თეატრის ნომერზე იმ იმედით, რომ იქნებ ვინმე გადარჩენილი მსახიობის ან თანამშრომლის ბედი გაეგოთ, ვინც თეატრს აფარებდა თავს... პასუხმა არ დააყოვნა. მოხუცმა დარაჯმა ასეთი სიტყვებით უპასუხა ზარს: „სოხუმის ქართული დრამატული თეატრი გისმენთ“!. „გმირი თეატრის გმირი დარაჯი“ (წერედიანი, 2022).

1993 წლიდან სოხუმის თეატრის ერთ-ერთმა საუკეთესო დასმა, მსახიობ დიმიტრი ჯაიანის (Dimitri Jaiani, 1950-2017) ხელმძღვანელობით, თბილისში განაგრძო მოღვაწეობა. დიმიტრი ჯაიანი, რომელიც 1992-2010 წლებში ხელმძღვანელობდა თეატრს, თანამოაზრეებთან და კოლეგებთან ერთად ბევრი სირთულე გადალახა. მისი, როგორც მსახიობის ავტორიტეტი, აღმოჩნდა ის იარაღი, რითაც თბილისის თითქმის ყველა თეატრმა (რუსთველის ეროვნული, მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, სამეფო უბნის თეატრები) კარი გაუღო და თავისი სივრცე დაუთმო წარმოდგენების გასამართად. სოხუმის თეატრში, დევნილობის პერიოდშიც კი თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი რეჟისორები: თემურ ჩხეიძე, გოგი ქავთარაძე, გოჩა კაპანაძე, დავით საყვარელიძე, სოსო ნემსაძე და სხვები.

მშობლიურ ქვეყანაში ემიგრაციაში მყოფი სოხუმის თეატრისთვის ყველაზე გახმაურებული და მნიშვნელოვანი დადგმა გახლდათ მაცესტრო თემურ ჩხეიძის სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“ (2006), რომელიც გამოჩენილმა რეჟისორმა აფხაზეთიდან დევნილი, თანამედროვე ქართველი მწერლის გურამ ოდიშარას ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დადგა. წარმოდგენა რუსულ ენაზე თამაშდებოდა. „სპექტაკლი ეხებოდა საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს, ყველაზე მტკივნეულ, ე.წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ოღონდ არა მის პოლიტიკურ, არამედ ადამიანურ, ზნეობრივ მხარეს, ომსა და სისხლიან დაპირისპირებას, რომელსაც სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად, უმჭიდროესი ადამიანური ურთიერთობის რღვევა მოსდევს თან. უახლოეს ნათესავებსა და



მეგობრებს შორის არსებული ხანგრძლივი სიყვარულის, ურთიერთგაგების, პატივისცემის დაფების გაწყვეტა - სწორედ ამ საკითხებს არკვევს ბავშვობის ორი მეგობარი, ქართველი ზურაბი და აფხაზი ასტამური, რომლებიც ომმა უკიდურესად დააშორა. ნუთუ ისინი შეურიგებელი, მოსისხლე მტრებად იქნებიან? ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს. ნუთუ არ შეიძლება საერთო ენის გამონახვა ბავშვობის მეგობრებს შორის, რომლებსაც წარსული აკავშირებს. ვფიქრობთ, ეს ძალიან რთული, მაგრამ შესაძლებელია“ (მიქელაძე, 2019).

2014 წელს სოხუმის ქართული დრამატული თეატრის ხელმძღვანელად რეჟისორი, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე, დავით საყვარელიძე (David Sakvarelidze, 1970) დაინიშნა. დავით საყვარელიძე დიდი გამოცდილებით (როგორც რეჟისორი და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველი) მივიდა სოხუმის თეატრში. 2016 წელს აფხაზეთის მთავრობის, განათლებისა და კულტურის სამინისტრომ სოხუმის თეატრს გადასცა შენობა, სადაც განთავსდა თეატრის სარეპეტიციო და ოფისი. მოგვიანებით, ამავე შენობაში მიიღო თეატრმა საკუთარი სცენაც. დღეს სოხუმის დრამატული თეატრის დარბაზი ერთ-ერთი გამორჩეული სათეატრო დარბაზია თბილისში.

დავით საყვარელიძის ხელმძღვანელობით, სოხუმის თეატრმა გადაწყვიტა აქცენტი გააკეთოს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. „თეატრი მთელი დატვირთვით თანამშრომლობს ქართველ თანამედროვე დრამატურგებთან, მწერლებთან. თემები კი უაღრესად თანადროულია. დევნილთა საკითხები XXI საუკუნის პრობლემა, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. სოხუმის თეატრი სწორედ ამ კუთხითაა დღეს საინტერესო. იგი ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებს. ჩართულია იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ქსელში (ITI). დააფუძნა გერმანულ-ქართული და აგრეთვე პოლონურ-ქართული თეატრალური პლატფორმა. გახდა რამდენიმე საერთაშორისო თეატრალური კონკურსისა და ფესტივალის პრიზიორი. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ დღეს სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ამშვენებს დიდი ტრადიციების მქონე ქართულ თეატრალურ ცხოვრებას“ (სოხუმის დრამატული თეატრის შესახებ, თეატრის ოფიციალური გვერდი, <https://sokhumitheatre.ge/>).

სოხუმის თეატრში მოღვაწეობენ ქართული თეატრის გამოჩენილი და პოპულარული მსახიობები: ლილი ხურითი, მერაბ ყოლბაია, ნანა ხურითი, მარინა სოლომონია, ბადრი ბეგალიშვილი, ნიკა წერედიანი, ჯულიეტა პაკელიანი, ჯანო იზორია, გიორგი გასვიანი და სხვები.

**დასკვნა.** ემიგრაციაში მყოფი ქართული თეატრები წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას, მაგრამ ისინი არასდროს კარგავენ იმედს, რომ დაუბრუნდებიან მშობლიურ ქალაქებს და თავის მაყურებელს. მნიშვნელოვანია, რომ იძულებით გადაადგილების შემდეგ, ცხინვალისა და სოხუმის თეატრებმა, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და ბარიერისა, დედაქალაქში გააგრძელეს უწყვეტად მუშაობა და აქტიურად ჩაერთნ სათეატრო ცხოვრებაში. მათმა მრავალწლიანმა დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო, რაც აისახა საერთაშორისო აღიარებაში სხვადასხვა ფესტივალებსა თუ ფორუმებზე, კრიტიკოსთა ინტერესში, ცალკეულ ნაწარმოებთა, მსახიობთა და რეჟისორთა სახელმწიფო და კერძო კონკურსებში გამარჯვებაში, პრიზებსა და ლაურეატობაში. ფაქტია, რომ ემიგრაციაში მყოფი თეატრები მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ სხვა ქართულ (და არა მხოლოდ) თეატრებს.

## შენიშვნები:

- 2001 წლიდან ვაშინგტონში (აშშ) ფუნქციონირებს ქართველი მსახიობისა და რეჟისორის მიერ დაარსებული კომპანია SyneticTheater, რომლის რეპერტუარში ვხვდებით ქართული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგის ნიმუშებს, დასის წევრთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. „სინეტიკ თეატრი“ თეატრალური სამყაროს მოყვარულების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. მასზე ხშირად წერენ ცნობილი ამერიკული (და არა მხოლოდ) გამოცემები. დაწვრილებით იხილეთ: <https://www.facebook.com/SyneticTheater>

- 2017 წლიდან კიოლნში (გერმანია) მსახიობმა თამარ ბურდულმა დააარსა ქართული თეატრალური კომპანია Deutsch Georgische Kultur Begegnungen e.V. ბოლო წარმატებული პრემიერა იყო დავით ტურაშვილის რომანის „ჯინსების თაობა“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი (რეჟისორი - იოსებ ბაკურაძე), რომელიც რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა.

- პარიზში (საფრანგეთი) ქართველმა ემიგრანტმა არტისტმა თამარ ლოჩოშვილმა 2017 წელს, დააფუძნა თეატრალური კომპანია „Tam'Art“, რომელიც პარიზის სხვადასხვა სივრცეებში (მათ შორის, არატრადიციულ სათეატრო გარემოში) ახორციელებს პროექტებს. სპექტაკლების უმრავლესობა არავერბალურია. თეატრის ყველაზე გახმაურებული დადგმაა „მედეა“, მედეას როლის შემსრულებელი და დადგმის ავტორი თავად თამარ ლოჩოშვილია. დაწვრილებით იხილეთ: [https://www.facebook.com/lochoshvili/?locale=sw\\_KE](https://www.facebook.com/lochoshvili/?locale=sw_KE)

## გამოყენებული ლიტერატურა:

არველაძე, ნ. (2017). დრამატული ბედის თეატრი. წერილი დაცულია ცხინვალის თეატრის მუზეუმის ფონდებში.

გელაძე, მ. (2020). ორი დასი ერთ თეატრში (ჩაიწერა და მოამზადა ნ. ლომაძემ), ჟურნ. „ინდიგო“, 25.07.2020. <https://indigo.com.ge/articles/ori-dasi-ert-teatrsi>

კიკნაძე, ვ. (1970). ქართველი რეჟისორები. ტ. 2. თბილისი.

მეგრელიძე, გ. (2017). ცხინვალის თეატრის იუბილე. წერილი დაცულია ცხინვალის თეატრის მუზეუმის ფონდებში.

მიქელაძე, მ. (2019). ხელოვნების როლი კონფლიქტის გადაწყვეტაში. ჟურნ. „Talk Tolerance“. 6.03.2019.

მოდებაძე, ქ. (2021). როგორ დადგა გიორგი ჯაბადარმა ევროპაში პირველი ქართული პიესა და რა ინტრიგების მსხვერპლი გახდა ის, ჟურნ. „საზოგადოება“, # 25.

ოჩიაური, ლ. (2017). ჩემი, ჩვენი თეატრი. წერილი დაცულია ცხინვალის თეატრის მუზეუმის ფონდებში.

*რეგიონული თეატრების გზამკვლევი*, ქართული თეატრის ელექტრონული არქივი, <https://www.theatrelife.ge/tskhinvalitheatrehistory>

რუხაძე, ტრ. (2011). ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, მეორე გამოცემა. თბილისი.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური გვერდი; ზაზა თედიაშვილის ნეკროლოგი,

<https://www.facebook.com/photo/?fbid=220038756840396&set=a.116002933910646>

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, ბაქოს ქართული თეატრი, <https://georgianencyclopedia.ge/en/pdf-export/23547>

საქართველოს მთავრობა, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, <http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/47>  
 სოხუმის დრამატული თეატრის შესახებ, თეატრის ოფიციალური გვერდი, <https://sokhumitheatre.ge/>  
 ჩხარტიშვილი, ლ. (2014). „იოლი ფულიდან“ „ჯაყომდე“ „რამიშვილების“ გავლით, ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგი, 1.12.2014.  
[http://lashachkhartishvili.blogspot.com/2014/12/blog-post\\_14.html](http://lashachkhartishvili.blogspot.com/2014/12/blog-post_14.html)  
 ჩხარტიშვილი, ლ. (2019). 258 წლის თელავის თეატრი. თბილისი.  
 Chkhartishvili, L. (2023). Chkhartishvili L., War and Contemporary Georgian Theatre, Arts 2023, 12(6), 236; <https://doi.org/10.3390/arts12060236>

## REFERENCES:

arveladze, n. (2017). dramatu'li bedis teat'ri. ts'erili datsulia tskhinvalis teat'ris muzeumis pondebshi.  
 geladze, m. (2020). ori dasi ert teat'rshi (chait's'era da moamzada n. lomadzem), zhurn. „indigo“, 25.07.2020. <https://indigo.com.ge/articles/ori-dasi-ert-teatrsi>  
 k'ik'nadze, v. (1970). kartveli rezhisorebi. t'. 2. Tbilisi.  
 megrelidze, g. (2017). tskhinvalis teat'ris iubile. ts'erili datsulia tskhinvalis teat'ris muzeumis pondebshi.  
 mikeladze, m. (2019). khelovnebis roli k'onplikt'is gadats'qveta'shi. zhurn. „Talk Tolerance“. 6.03.2019.  
 modebadze, k. (2021). rogor dadga giorgi jabadarma evrop'ashi p'irveli kartuli p'iesa da ra int'rigebis mskhverp'li gakhda is, zhurn. „sazogadoeba“, # 25.  
 ochiauri, l. (2017). chemi, chveni teat'ri. ts'erili datsulia tskhinvalis teat'ris muzeumis pondebshi.  
 regionuli teat'rebis gzamk'vlevi, kartuli teat'ris elekt'ronuli arkivi, <https://www.theatrelife.ge/tskhinvalitheatrehistory>  
 rukhadze, t'r. (2011). dzveli kartuli teat'ri da dramatu'rgia, meore gamotsema. Tbilisi.  
 sakartvelos k'ult'urisa da sp'ort'is saminst'ros opitsialuri gverdi; zaza tediashvilis nek'rologi, <https://www.facebook.com/photo/?fbid=220038756840396&set=a.116002933910646>  
 sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademia, kartuli entsik'lop'ediis i. abashidzis sakhelobis mtavari sametsniero redaktsia, bakos kartuli teat'ri, <https://georgianencyclopedia.ge/en/pdf-export/23547>  
 sakartvelos mtavroba, shida kartlis sakhelmts'ipo rts'munebulis administ'ratsiis opitsialuri vebgverdi, <http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/47>  
 sokhumis dramatu'li teat'ris shesakheb, teat'ris opitsialuri gverdi, <https://sokhumitheatre.ge/>  
 chkhart'ishvili, l. (2014). „ioli pulidan“ „jaqomde“ „ramishvilebis“ gavlit, lasha chkhart'ishvilis blogi, 1.12.2014. [http://lashachkhartishvili.blogspot.com/2014/12/blog-post\\_14.html](http://lashachkhartishvili.blogspot.com/2014/12/blog-post_14.html)  
 chkhart'ishvili, l. (2019). 258 ts'lis telavis teat'ri. Tbilisi.  
 Chkhartishvili, L. (2023). Chkhartishvili L., War and Contemporary Georgian Theatre, Arts 2023, 12(6), 236; <https://doi.org/10.3390/arts12060236>